MES 6 20 00464678

12/06/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 29 მაისს.**
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Topic: **vet.authorization**
Joing Zoom Meeting
https://us04web.zoom.us/j/665774354?pwd=RE9Pd20xb2g2R2J5dkcvbDhKYUQ4dz09
Zoom Meeting ID: 833 0209 0421

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პმს კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (საბჭოს მდივანი);
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგი ტრაპაიძე - სს ,,ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი-პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხრისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი
ნადეჟდა მანჯავიძე - დირექტორი
თამარ სოსანიძე - ხარისხის სამსახურის უფროსი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სერგო სვანაძე - პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“
ნინო ბაკურაძე - დირექტორი
ეკატერინე ფოჩხუა - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „იბერია“
ირაკლი ავალიანი - დირექტორი
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილე
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
თეიმურაზ ასათიანი - დირექტორი
ელისაბედ ებრალიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს საქართველოს ბიზნესისაკადემია-SBA
ია ერაძე - დირექტორი
შორენა ხუბუნაია - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
ლალი ხვედელიძე - პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
მზევინარ ძირკვაძე - პროფესიული განათლების დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ამაგი“
ნინო დვალი - ხარისხის მენეჯერი
ივანე ბალახაშვილი - იურისტი

ექსპერტები:
თამარ რემიშვილი
მანანა მოისწრაფიშვილი
ირაკლი სალუქვაძე
ქეთევან გელაშვილი
ალინა კუპრავა
ხათუნა მაისაია
ნანა შარაბიძე
ინგა ბაქრაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და კოლეჯების წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა ყველას, განსაკუთრებით მარიამ ჩაგელიშვლს წინა სხდომის შესანიშნავად გაძღოლისთვის. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მოსამზადებლად სხდომის აუდიო ჩანაწერი მზადდებოდა და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისთვის „ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს - კოლეჯი „ამაგისთვის“ „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს კოლეჯი „ამაგისთვის“ „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №176 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებ ლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
7. ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

8. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №136 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №45 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
10. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
12. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
13. შპს „პროფიუნიტისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №198 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
14. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანი დალაქიშვილმა, სამსახურის სახელით შუამდგომლობა ითხოვა დღის წესრიგთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ დღის წესრიგში 15 საკითხია, აქედან პირველი ოთხი საკითხი არის ადმინისტრაციული წარმოებების შედეგების განხილვა, დანარჩენი 11 საკითხი ცვლილებების შეტანას ეხება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში, რაც საჭირო გახდა ჩარჩო დოკუმენტის ცვლილების და ასევე, კვალიფიკაციების კოდების ცვლილებების გამო, რასაც დაწესებულებები ეტაპობრივად ითხოვენ, რადგანაც იმ პროგრამებს, რაზეც უნდათ სწავლის გამოცხადება, აწესრიგენ. დაწესებულებებს 2020 წლის სექტემბრამდე აქვთ ვადა, რათა შესაბამისობაში მოიყვანონ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან თავიანთ პროგრამები, კერძოდ, კვალიფიკაციის ფორმულირება და კოდები. ამდენად, ეს საკითხებია შეტანილი დღის წესრიგში და თუ საბჭოს ნებართვა იქნება, მისი თხოვნა იყო, ჯერ ცვლილებების საკითხები განხილულიყო და შემდეგ გადასულიყვნენ დანარჩენი საკითხების განხილვაზე.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს განახლებულ დღის წესრიგს და თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო შემდეგი სახით დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №176 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №136 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის № 45 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს „პროფიუნიტისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №198 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
10. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
12. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისთვის „ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა;
13. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ „მეხილეობა - მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
14. შპს კოლეჯი „ამაგისთვის“ „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
15. შპს კოლეჯი „ამაგისთვის“ „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით სხვა შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №176 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

ცვლილება ეხებოდა სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №176 გადაწყვეტილებაში ცვლილებას. ცვლილების საფუძველია ის, რომ შეიცვალა ჩარჩო დოკუმენტი, მოხდა მასში შემავალი კვალიფიკაციების ოპტიმიზება, გაჩნდა ერთი კვალიფიკაცია - სამუსიკო ხელოვნება.შესაბამისად, კოლეჯმა შესაბამისობაში მოიყვანა თავისი პროგრამები. ნანი დალაქიშვილის თქმით, წარმოდგენილი იყო ამ გადაწყვეტილებაში ცვლილების პროექტი - მუსიკის რეპეტიტორი, მეხუთე დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში, შესაბამისი კოდი - 0215. მეორე პროგრამა, პიანისტ-აკომპანიატორიც შესაბამისობაში მოვიდა ჩარჩო დოკუმენტთან, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში, მეხუთე დონე, კოდი - 0215. ნანი დალაქიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელთან ერთი საკითხის დაზუსტება ითხოვა, კერძოდ, თუ აპირებდნენ სტუდენტების გადაყვანას ახალ პროგრამაზე.
დაწესებულების დირექტორმა, ნადეჟდა მანჯავიძემ, დაადასტურა, რომ აპირებენ სტუდენტების გადაყვანას ახალ პროგრამაზე. მისი თქმით, შესაბამისი წერილი წარმოდგენილი აქვთ ცენტრში და ასევე, არსებობს სტუდენტების თანხმობაც.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №176 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №176 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**

2.სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

ცვლილება ეხებოდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №41 გადაწყვეტილებაში კოდების შეცვლას. ექვსნიშნა კოდები შეიცვალა ოთხნიშნათი. გადაწყვეტილების პროექტი და დაწესებულების წერილიც აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით მიწოდებული იყო საბჭოსთვის. საბჭოს სხდომაზე დამსწრე დაწესებულების წარმომადგენლებმა - თეიმურაზ ასათიანმა და ელისაბედ ებრალიძემ დაადასტურეს თავიანთი პოზიცია, თანხმობა კოდების ცვლილებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №41 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

ცვლილება ეხებოდასათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვისპროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას. წინა საკითხების გადაწყვეტილებების მსგავსად, აქაც შეიცვალა კოდი. ექვსნიშნა კოდი შეიცვალა ოთხნიშნათი - სამთო გამყოლის პროგრამაზე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №179 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 12 სექტემბრის №179 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 3).**

4. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №136 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საკითხი ეხებოდა სსიპ - კოლეჯ ,,აისისთვის“პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის № 136 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, შეიცვალა კოდები, ექვსნიშნა კოდი - ოთხნიშნათი. კოდები შეიცვალა შემდეგი პროგრამებისთვის: თაბაშირ -მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, იატაკისა და ფილის სამუშაოები, ქვის სამუშაოების წარმოება და მეთევზეობა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №136 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 6 სექტემბრის №136 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 4).**

5. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №45 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

ცვლილება ეხებოდა კოდების შეცვლას სატყეო საქმისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამებისთვის.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის № 45 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 22 სექტემბრის №45 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 5).**

6. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საკითხი ეხებოდა კოდების ცვლილებას. ჩასწორდა კოდები შემდეგ პროგრამებში: ინფორმაციის ტექნოლოგია, ელექტროობა, ბუღალტრული აღრიცხვა, ფერმერობა მეთევზეობაში, თევზის გადამუშავება და ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში. ექვსნიშნა კოდი შეიცვალა ოთხნიშნათი, დანარჩენი სხვა პარამეტრები არ შეცვლილა.
თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 მარტის №41 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 6).**

7. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

ამ შემთხვევაშიც ექვსნიშნა კოდი შეიცვალა ოთხნიშნათი და ცვლილება ეხებოდა შემდეგ პროგრამებს: თმის მომსახურება, საოფისე საქმე, სასტუმრო მომსახურება, საფინანსო სერვისები და შედუღება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №149 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 7).**

8. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პ როგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2 019 წლის 13 სექტემბრის №02გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხი ლვა

საკითხი ეხებოდა ექვსნიშნა კოდების შეცვლას ოთხნიშნათი შემდეგ პროგრამებში: საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური, გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური, ელექტროობა.

ნანი დალაქიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აქამდე ცვლილებების განხილვა ეხებოდა საჯარო კოლეჯებს. საჯარო კოლეჯები ასეთი ცვლილებებისთვის მუდმივად მზად არიან, რადგან ტესტირების გზით აცხადებდნენ მიღებას და ანკეტა-კითხვარების შევსების პროცესი მათთვის ნაცნობია, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როცა პროფესიული ტესტირების გავლით სისტემაში შემოდიან კერძო სასწავლებლები, მათ შორის შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი გადაწყვეტილებებიც მოწესრიგდეს, რომ ანკეტა-კითხვარების შევსებისას არ შეექმნათ პრობლემა.

თავმჯდომარემაც აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, ერთიან სისტემაში მოექცნენ სახელმწიფო და კერძო სასწავლებლები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებული სამართლებრივი ფორმით არიან დაფუძნებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის № 02 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 13 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 8).**

9. შპს „პროფიუნიტისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №198 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ცვლილება ეხებოდა სამთო ტექნიკოსის, სამთო ელექტრომექანიკოსის, მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის პროგრამებში კოდების ცვლილებას. ექვსნიშნა კოდი შეიცვალა ოთხნიშნა კოდით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „პროფიუნიტისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №198 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს შპს „პროფიუნიტისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №198 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 9).**

10. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

ამ შემთხვევაშიც საკითხი ეხებოდა ექვსნიშნა კოდის ოთხნიშნათი შეცვლას შემდეგი პროგრამებისათვის: საოფისე საქმე, საფინანსო სერვისები, ინფორმაციის ტექნოლოგია და ბუღალტრული აღრიცხვა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №123 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის №123 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 10).**

11. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

ცვლილებების შესახებ ბოლო საკითხიც ეხებოდა კოდების ცვლილებას, ექვსნიშნა კოდის ოთხნიშნა კოდით შეცვლას. ცვლილება შეეხო შემდეგ პროგრამებს: ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება, მხატვრული ქსოვილები და საბაჟო საქმე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგებია:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №62 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 11).**

12. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ისთვის „ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - საკითხის განხილვა;
წარმდგენი: ექსპერტები თამარ რემიშვილი, მანანა მოისწრაფიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა, თამარ რემიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს ,,საქართველოს ბიზნესის აკადემიის SBA-ისთვის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ლოგისტიკა“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების მიზანი იყო ექსპერტების მიერ სტანდარტთან პროგრამის შესაბამისობის შეფასება. ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების ფარგლებში ექსპერტებმა დისტანციურად შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია. წარმოების პროცესში ექსპერტების მიერ დამატებით იქნა მოთხოვნილი დოკუმენტები და ფოტომასალა, რომლის საფუძველზეც გადამოწმდა ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია, მომსახურების ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსი და შეფასდა პროგრამის განხორციელების ადგილი. გასაუბრება ჩატარდა დისტანციურად, 27 აპრილს პლატფორმა ,,ZOOM“-ის მეშვეობით. გასაუბრება ეფექტური იყო და ექსპერტები კმაყოფილები დარჩნენ განხორციელებული გასაუბრების ამ ფორმატით.

პროგრამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ლოგისტიკა“ განხორციელების უფლება დაწესებულებამ მოიპოვა ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილებით. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ოცდაათია, პროგრამა დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწესებულების მიერ შემუშავებული წესის მიხედვით და ასევე ცვლილებები განხორციელებულია აკადემიის შიდა რეგულეციების შესაბამისი პროცედურების დაცვით.

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ლოგისტიკა“ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით, ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოდულები, სასწავლო გეგმები, პროგრამის განმახორციელებლების პირადი სქმეები, ინვენტარი, აღჭურვილობა, დაწესებულების ვებგვერდი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ლოგისტიკა“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების 7 წლიან და ერთწლიან სამოქმედო გეგმებს; დაწესებულების დებულების მე-5-ე მუხლის, 1.23 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია/ბრძანება ცვლილების თაობაზე გამოცემულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - დაწესებულების დირექტორის მიერ. პროგრამა დამტკიცებულია “საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესის“ შესაბამისად, ასევე მასში ცვლილება განხორციელებულია აკადემიის შიდა რეგულაციის შესაბამისი პროცედურების დაცვით. პროცედურები გაწერილია „საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ფორმალური

განათლების ფარგლებში მიღწეული განათლების აღიარების და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესში“.

პროგრამის განხორციელების დასაბუთება ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად მიჩნეულ დარგს, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის ხელშეწყობას, აკადემიის შესაძლებლობებს, დამსაქმებელთა დაინტერესებსა და ჩართულობას პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვანი განხორციელებისა და მათი დასაქმების მიმართულებით, პროფესიული განათლების მსურველი პირებისათვის მეტი შესაძლებლობების შეთავაზებას.

პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ლოგისტიკა“ დეტალურადაა აღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, როგორც პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე, ისე ინტეგრირების შემთხვევაში: ა) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება; ბ) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო ზოგადი განათლება.

დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 30, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 69, კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 122, კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 152, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 99.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ეფუძნება შემდეგს: A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტზე/სასწავლო საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, ადამიანური რესურსი და ფინანსური რესურსი. მოხდა შესწავლა ფოტოების მიხედვით და „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, განხორციელებისათვის აკადემიის მიერ შერჩეული და აღჭურვილია შემდეგი სასწავლო გარემო: A სასწავლო გარემო - აკადემიის მიერ შერჩეულია აუდიტორია, სადაც პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 34-ს. აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა ისეთი აღჭურვილობით, როგორიცაა: პროექტორი, დაფა, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისთვის საჭირო სკამი და მაგიდა, კომპიუტერი მასწავლებლისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ მოხდა შემოწმება, როგორ დაადგინეს სტუდენტებისათვის გამოყოფილია თუ არა საკმარისი ადგილი, თუნდაც ლაბორატორიაში. ექსპერტმა უპასუხა, რომ გადმოგზავნილი ფოტოებით და შემდგომ გასაუბრებით შესაძლებელი გახდა ამის დადგენა. ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა ფოტომასალა.

თავმჯდომარის შემდეგი კითხვა იყო, როგორ მოხდა დადგენა, ლაბორატორიაში ,,ლოგისტიკის" სტუდენტებისთვის რამდენად საკმარისია ფართი, როცა აუდიტორია საკმაოდ დატვირთულია სხვა პროგრამებით. თუ არის შესაძლებელი, ასეთი დატვირთვით საკმარისი ადგილი იყოს გამოყოფილი. მანანა მოისწრაფიშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულებამ მასალებში წარმოადგინა ერთი დოკუმენტი, სააუდიტორიო ფართის დატვირთვების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც აჩვენებდა აბსოლუტურად ყველა პროგრამის ფარგლებში თითოეული აუდიტორიის პროცენტულ დატვირთვას და ეს დოკუმენტი იქნა შესწავლილი.

საბჭოს თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, მომავალში ასეთი მეთოდით შესაძლებელი იქნება თუ არა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, თუნდაც აუდიტორიების დატვირთვის შესწავლა და რამდენად ეფექტურია და რა არის ის საკითხები, რომელთა შესწავლის საშუალებასაც არ იძლევა ეს მეთოდოლოგია. მანანა მოისწრაფიშვილმა უპასუხა, რომ დისტანციურად ბევრი რამის შესწავლა შეიძლება, თუნდაც ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ დაწესებულებას ვიდეოს გაზიარება მოსთხოვო და ასე დაათვალიერო ფართი. მისი თქმით, იმ დოკუმენტაციაში, რომელიც მიიღეს, დეტალურად იყო გაწერილი ფართის საათობრივი/პროცენტული დატვირთვა. ყველაფერი, რისი დაანგარიშებაც შეიძლებოდა, დაანგარიშებული ჰქონდა დაწესებულებას. რა თქმა უნდა, უმჯობესია ადგილზე დათვალიერება, მაგრამ კორონავირუსის გამო შექმნილი მდგომარეობის შემთხვევაში, ეს გამოსავალი იყო.
თამარ რემიშვილმა რამდენიმე ფოტო წარმოადგინა, მათ შორის, ლაბორატორიის, რომელიც საკმაოდ დიდი ფართისაა. დაწესებულება აპირებს ორ ცვლაში ჰქონდეს სწავლება. ვიზუალური დათვალიერებით და შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით, შესაძლებელი აღმოჩნდა ექსპერტებს შექმნოდათ მოსაზრება, რომ შესაძლებელია ამ ფართში 30 სტუდენტის სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლაბორატორია არის 100 კვადრატულამდე ფართის და ისინი ამ ფართში ფარმაციის პროგრამას ახორციელებენ, რომელსაც საკმაოდ მცირე წილი უჭირავს, თუმცა ლაბორატორია საკმაოდ დიდია და სწორედ ამან შეუქმნათ მოტივაცია იმისა, რომ შეჭიდებოდნენ ამ მნიშვნელოვან საქმეს, ინტეგრირებული პროგრამის დამატებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შორენა ხუბუნაიამ დაამატა, რომ ინტეგრირებული ,,ლოგისტიკის" პროგრამისთვის ამ ლაბორატორიის დატვირთვა შეადგენს კვირაში სამ საათს, სხვა მეტი დატვირთვა ამ ლაბორატორიას ინტეგრირებული პროგრამისთვის არ აქვს.

თავმჯდომარემ იკითხა, სხვა არაინტეგრირებული პროგრამისთვის როგორი ვითარება იყო, რაზეც შორენა ხუბუნაიამ უპასუხა, რომ ერთი პროგრამის, ფარმაციის მიზნებისთვის გამოიყენება ეს ლაბორატორია და ფარმაცია ხორციელდება სამ გარემოში. ერთი არის A გარემო, მეორე გარემო არის პრაქტიკის ობიექტი, სადაც 40-50% აფთიაქის ბაზაზე, პრაქტიკის ობიექტზე სწავლობენ სტუდენტები და C გარემო, რომელიც დატვირთულია, მაგრამ არაუმეტეს 30 %-ით. აუდიტორიაც არ არის სრულად დატვირთული და, საჭიროების შემთხვევაში,დაიმატებს კიდევ სხვა პროგრამას განსაზღვრული გეგმით. 100% დატვირთვა ამ აუდიტორიას არ აქვს ამ ორი პროგრამის ფარგლებში, რასაც ადასტურებს ცალსახად.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა ექსპერტს ჰკითხა, დასკვნის ერთ ნაწილში, კერძოდ რესურსების კომპონენტში 2.2-ში მონიშნულია ,,მეტწილი შესაბამისობა“. დანარჩენ ყველა კომპონენტში სრული შესაბამისობაა მითითებული. განმარტოს ექსპერტმა რა იყო ამის მიზეზი.

ექსპერტმა თამარ რემიშვილმა თქვა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსის გაუმჯობესების გეგმა, სხვა დოკუმენტებთან ერთად. ამ გეგმის საფუძველზე მიიღეს ინფორმაცია, რომ დაწესებულება გეგმავს და დაწყებულია სამუშაოები უკვე, რომ შეიძინოს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების აღჭურვილობა, მაგრამ გასაუბრების დროს ჯერ არ იყო შეძენილი.
ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ სამსახურმა უკვე მიიღო დაწესებულებისგან ინფორმაცია აღჭურვილობის შეძენის თობაზე, რაც საბჭოსაც მიეწოდა, არის ფოტო მასალა, დოკუმენტურადაც დასტურდება, მიღება-ჩაბარების აქტებიც არის და დაწესებულება ალბათ განმარტავს. ვფიქრობთ, რომ შეივსო ეს მატერიალური რესურსი, თუმცა ექსპერტებმაც უნდა დაადასტურონ, რომ შემდეგ იმსჯელოს საბჭომ, რამდენადაა შესაძლებელი, ეს შეფასება ,,მეტწილი შესაბამისობა“ გადავიდეს ,,სრულ შესაბამისობაში“.

საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა დოკუმენტაციის მიღება და თქვა, რომ უმჯობესია ჯერ დაასრულოს ექსპერტმა პრეზენტაცია, მოუსმენენ დაწესებულების წარმომადგენელსაც და შემდეგ მიუბრუნდებოდნენ ამ საკითხს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაუმჯობესების გეგმიდან გაიგეს, რომ შესყიდვა 26 ივნისისთვის დასრულებული იქნებოდა. გეგმა დამტკიცებული იყო და პასუხისმგებელი პირებიც გამოყოფილი იყო გეგმის მიხედვით, შესასრულებელ აქტივობებზე. კომპანიაც მოძებნილი იყო და ხელშეკრულებაც გაფორმებული, რომელსაც შესყიდული ინვენტარის მიწოდება უნდა უზრუნველყო განსაზღვრულ ვადაში.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა პრაქტიკის ობიექტებზე. 2018 წლის 6 წლიანი ვადით გაფორმებული აქვს დაწესებულებას ოთხ ობიექტთან მემორანდუმები. ეს ობიექტებია:
შპს ,,აი ტი ემ გლობალ ლოჯისტიკა“,
შპს ,,სუფარის ტრანსპორტ სერვისი“,
შპს ,,გაკო ტერმინალი“
შპს GREENWAY LOGOSTIC LTD
მოხდა მემორანდუმების შესწავლა. თითოეულ მათგანში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, ეს არის 15 პროფესიული სტუდენტი. ეს ნაწილიც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. რაც შეეხება განმახორციელებელ პერსონალს, პერსონალი საკმარისია იმისთვის, რომ პროგრამა განხორციელდეს უპრობლემად და ეფექტურად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 29 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან დარგობრივ მოდულებზე (10 მოდულზე), 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო ზოგად მოდულებზე, მათ შორის, ინტეგრირებულზე, 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებაზე-18 მასწავლებელი. გაესაუბრნენ მასწავლებლებლებს. ისინი კომპეტენტურები არიან და მზად არიან დაიწყონ სწავლება. მათ აქვთ პროფესიული პროგრამების განხორციელების, სტუდენტების შეფასების გამოცდილება და ამ მხრივ დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან დადებითი შეფასება აქვს.

ასევე, ფინანსური უზრუნველყოფის საკითხისთვის შეისწავლეს ბიუჯეტები. ორი ბიუჯეტი იყო წარმოდგენილი. ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამებისთვის. პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. პროგრამის

ბიუჯეტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოდულებით, რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია მინიმუმ 17 პროფესიული სტუდენტით.

პროფესიულ განვითარებაზეც ისაუბრა ექსპერტმა, რომ პროგრამის განმახორციელებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნავს როგორც დაწესებულება, ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მათ მიერ ორგანიზებული ტრენინგები მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია.

თავმჯდომარე დაინტერესებდა, რა მიმართულებით არის მნიშვნელოვანი დაწესებულების აქტიურობა, მასწავლებლების სწავლების უნარების თუ დარგობრივი უნარების განვითარების მხრივ. ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ ნახეს დოკუმენტი, რომელიც ვებგვერდზეც არის განთავსებული. ეს არის მასწავლებლების, როგორც პროფესიული უნარების განვითარების ტრენინგები, ასევე დარგობრივი უნარების განვითარების ტრენინგებიც. ქალბატონი შორენა ხუბუნაია პასუხისმგებელია, მასწავლებლებს სხვადასხვა ტრენინგები შესთავაზოს პროფესიულ ნაწილში, განსაკუთრებით, ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებისათვის ჩატარებულია არაერთი ტრენინგი. მასწავლებლებმა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრენინგებშიც მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც ძირითადად ინტეგრირებული მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიას შეეხებოდა.

ექსპერტმა დაამატა, რომ ისინი გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც დარგის წარმომადგენელია და აქვს კოორდინირებული თანამშრომლობა მასწავლებლებთან და დარგის მიმართულებით შეუძლია მას თავისი წვლილი შეიტანოს, ზოგადად, განვითარების კუთხით და აკეთებს კიდეც ამას, რაც მან დაადასტურა გასაუბრების დროს.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ლოგისტიკა არის სწრაფად განვითარებადი დარგი და პროგრამულ დონეზეც ბევრი რამ იცვლება, ვითარდება და ა.შ. რასაც გაეცნო, პარტნიორები ძალიან კარგი ორგანიზაციები არიან, თუმცა მასწავლებლებს მაინც სჭირდებათ პროფესიული უნარების მუდმივად განახლება და ამიტომ საინტერესო იყო ამ მხრივ ექსპერტების მოსაზრება.

ექსპერტმა გააგრძელა საუბარი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახური მუშაობს და ეყრდნობა სამსახურის დებულებას, რომელიც დამტკიცებულია და შეისწავლეს ვიზიტის განმავლობაში. ასევე შეისწავლეს ხარისხის მონიტორინგის ინსტრუქცია და ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია, რომელიც ასევე ვებგვერდზეა განთავსებული. ხარისხის მონიტორინგის ასპექტები მოიცავს აკადემიის პერსონალის შეფასებას, ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას, პროგრამის შეფასებას, სტუდენტთა სერვისების შედეგიანობის შეფასებას, სასწავლო პროცესის განხორციელების ეფექტიანობის შეფასებას, მენეჯმენტის თვითშეფასებას და ხარისხის შეფასებას. ეს ანგარიშები წარმოდგენილია ვებგვერდზე და ექსპერტებმა ისინი შეისწავლეს. ექსპერტები გაესაუბრნენ ასევე ქალბატონ შორენა ხუბუნაიას და გააკეთეს შესაბამისი შეფასება და დასკვნა.

ექსპერტმა დაამატა, რომ ნახეს ,,ლოგისტიკის“ მოკლევადიანი პროგრამის ანალიზი, ლოგისტიკის მოკლევადიანი პროგრამის კურსდამთავრებული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა. ყურადღება მიაქციეს იმას, რომ სტუდენტთა კმაყოფილება საკმაოდ მაღალი იყო და ესეც არის ერთ-ერთი ინდიკატორი, რომ ეს პროგრამა ეფექტურად განხორციელდეს. ნათლად ჩანს, რომ დაწესებულებას ლოგისტიკის მიმართულებით წარმატებები აქვს, გამოკითხვის ანალიზით დასტურდება, რომ სტუდენტები კმაყოფილები არიან, კურსდამთავრებულები კმაყოფილები არიან, არის შეფასების მოქნილი სისტემა.

თავმჯდომარე დაინტერესდა, სტუდენტთა სერვისების ეფექტიანობის შეფასებისას რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს დაწესებულება. ექსპერტმა განმარტა, რომ ძირითადად, სტუდენტების მხრიდან შევსებული კითხვარების მიხედვით ხდება შეფასება. ვებგვერდი ძალიან კარგ ინფორმაციას იძლევა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და, მათ შორის, სტუდენტებისათვისაც და კითხვარებიც იძლევა იმის საშუალებას, რომ მიიღონ ინფორმაცია.

შორენა ჯაფარიძეს დაინტერესდა, რამდენადაც პროგრამაში სხვადასხვა ტიპის გადაზიდვები ისწავლება. ესაა სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო და ა.შ., არის თუ არა პრაქტიკის ობიექტები რომლებიც კოლეჯის პარტნიორები არიან, შესაბამისად მრავალპროფილიანი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტები ზოგადად სწავლობენ დაგეგმვას, ეს არის ზოგადი მოდული, მოდული ითვალისწინებს ტვირთის გადაზიდვების განრიგების შემუშავებას და უშუალოდ ტრანსპორტის მუშაობის გაცნობას. ძირითადად გადაზიდვების დოკუმენტაციასთან უხდებათ მუშაობა. ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის გადაზიდვების დაგეგმვის ორგანიზებას და კონკრეტულად, პრაქტიკულად, ამას აკეთებენ სარკინიგზო გადაზიდვების ნაწილში, მათ პარტნიორი ,,ვაკო ტერმინალი“ ასეთ საქმიანობას ეწევა და პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტებს შეუძლიათ პრაქტიკულად ჩაერთონ ამ პროცესებში.

საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ კარგად იცნობს ამ პროგრამას და სმენია ამ ბიზნესში მოქმედი რამდენიმე კომპანიის, მათ შორის, რამდენიმე ასოციაციის აზრი. მათ ძირითადი შენიშვნები აქვთ ხოლმე განმახორციელებელ პერსონალთან, იმ პერსონალთან, ვინც პასუხისმგებელია პროგრამის 10 დარგობრივი მოდულის განხორციელებაზე. შესაბამისად, საინტერესოა, ვინ არიან დარგობრივი მოდულების მასწავლებლები, წარმოადგენენ თუ არა ისინი ბიზნესს და როგორ მიიღწევა ხარისხი დარგობრივი მოდულების სწავლების ნაწილში.

შორენა ხუბუნაიამ განმარტა, რომ როგორც თეორიული, ისე დარგობრივი მოდულების მასწავლებლები საუკეთესო სპეციალისტები არიან. ის მასწავლებლები, რომლებიც დარგობრივ მოდულებს ახორციელებენ, დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან.

თავმჯდომარემ დაინტერესდა, რამდენწლიანი გამოცდილებით ჰყავთ მასწავლებლები - მაქსიმუმი და მინიმუმი გამოცდილება როგორია. რაზეც მიიღო პასუხი, რომ მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონდეთ დარგში და შერჩევის დროს უპირატესობა ენიჭება მოქმედ კომპანიებში აქტიურად დასაქმებულ სპეციალისტებს. ასევე, დაწესებულებისერთ-ერთი ძლიერი მხარეა პარტნიორები პრაქტიკის განხორციელებისთვის.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამ საკითხის კარგად გააზრება. სამი წელი შეიძლება მუშაობდეს ლოგისტიკის მხოლოდ ერთი მიმართულებით, მაშინ როცა პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებით სწავლებას სტუდენტებისთვის, მნიშვნელოვანია ჩანდეს მსგავსი პროფესიული განვითარების მექანიზმები.

დაწესებულების ხელმძღვანელმა, ია ერაძემ დაამატა, პროგრამის მდგრადობის კუთხით, არასდროს არიან დამოკიდებული ერთ პედაგოგზე. მათი დაწესებულების ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის წარმატებული ბიზნეს პარტნიორები. ისინი იმყოფებოდნენ ერთ-ერთ მასშტაბურ ბიზნეს ფორუმზე, რომელიც განახორციელა მათმა პარტნიორმა, დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციამ და „ბენე ექსკლუზივმა“, რომელიც არის მსხვილი ლოგისტიკური კომპანია. ფორუმზე გამოიკვეთა, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, გახდეს ლოგისტიკური ჰაბი და ამ

მიმართულებით კადრების მომზადებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დარგი დღესაც პრიორიტეტულია, თუმცა ძალიან დიდი მომავალი ექნება და ეს გვაჩვენა პანდემიის პერიოდმაც, როცა სექტორი ერთი წამით არ გაჩერებულა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სწორედ პრიორიტეტულობის გაცნობიერების გამო დაისვა ამდენი შეკითხვა და ძალიან საინტერესოა ამ მიმართულებით როგორ დგამს დაწესებულება ნაბიჯებს. ნამდვილად მოთხოვნადი დარგია და მზარდი მოთხოვნა იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულებას ასევე კარგად გაცნობიერებული ჰქონდეს თითოეული ნაბიჯი, აღნიშნა თავმჯდომარემ.

თამარ რემიშვილმა უსაფრთხოების ნაწილზეც ისაუბრა. დაწესებულებას აქვს ვებგვერდზე განთავსებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა შენობის მდგრადობის თაობაზე და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, ასევე ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ,ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულებისათვის გამოყოფილ ლაბორატორიებში დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს კარგი პრეზენტაციისა და ამომწურავი ინფორმაციისთვის და ითხოვა დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრების მოსმენა მატერიალური რესურსის დამატებით შეძენასთან დაკავშირებით. ასევე მან ითხოვა, ექსპერტებსაც წარმოედგინათ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ საკითხის შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ია ერაძემ აღნიშნა, რომ ყველამ იცის, რამდენად შრომატევადია შექმნა პროგრამა, იმუშაო დარგის სპეციალისტებთან, ბიზნესთან. საბჭომ ნახა მათი ლაბორატორიის ფოტო. ლაბორატორიას როცა ქმნიდნენ, თავიდანვე იყო გააზრებული, რომ ლაბორატორია ბევრად უფრო კარგად იქნებოდა აღჭურვილი, ვიდრე ფარმაციის პროგრამას სჭირდებოდა, ვინაიდან თავიდანვე ჰქონდათ გააზრებული, რომ ეს ყველაფერი მათ დასჭირდებოდათ ინტეგრირებული პროგრამისთვის. მხოლოდ საბუნებისმეტყველო მოდულის ფიზიკის ნაწილში ჰქონდათ აღჭურვილობის ნაკლებობა. კომპანია, რომელსაც დაუკავშირდა, ერთ-ერთი წარმატებული კომპანიაა და არაერთ სახელმწიფო და კერძო კოლეჯს მოემსახურა. მაქსიმალურად აიღეს დრო, ივნისის ბოლო, თუმცა კომპანიამ მოახერხა ამ პროდუქციის ჩამოტანა მანამდე. კერძოდ სამი დღის წინ და მათ შეძლეს უზრუნველეყოთ ლაბორატორიის სრული აღჭურვა.
ქალბატონმა იამ, კოლეჯის განვითარებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქვთ არაერთი საერთაშორისო აღიარება. საქართველოს ბიზნეს აკადემია ხელს უწყობს მეწარმოებითი უნარების განვითარებას, როგორც სკოლების მოსწავლეებში, ასევე პროფესიულ სტუდენტებში. 2019 წლის ბოლოს, ფინეთში კონკურსში გაიმარჯვა კოლეჯმა და გახდა საუკეთესო სამეწარმეო სკოლა. ამან განაპირობა გერმანიიდან, პარტნიორი დაწესებულებიდან, სტუდენტების მოწვევაც. ადრე ეს წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, რომ გერმანელ სტუდენტს მათთან, საქართველოში შეეძლო გაევლო პრაქტიკა. სტუდენტები იყვნენ მათ კომპანიებში ფინანსების კუთხით და ტურიზმის მიმართულებით. გერმანიაშიც პრიორიტეტულია ლოგისტიკის პროგრამა და სწორედ ამ მიმართულების გაცვლითი პროგრამები უნდათ დანერგონ გერმანელ პარტნიორებთან ერთად. პანდემიას მათთვის ხელი არ შეუშლია. შეიმუშავეს მომზადება/გადამზადების 9 პროგრამა პარტნიორებთან ერთად, რომელთაგან ჯერჯერობით ოთხზე მიიღეს ნებართვა.

თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს, სამეწარმეო უნარების მიმართულებით როგორ არჩევენ პედაგოგებს, რას აქცევენ ყურადღებას პერსონალის შერჩევის დროს, რა კვალიფიკაციის მასწავლებლები ჰყავთ. რაზეც მიიღო პასუხი, რომ ისინი არიან

პედაგოგები, რომლებმაც ამავდროულად შექმეს თავიანთი ბიზნესი. კოლეჯი არის ბიზნესოლიმპიადის ავტორი, ბიზნესოლომპიადებს ატარებენ სკოლებში. ეს ოლიმპიადა არამარტო სამეწარმეო უნარების განვითარებას უწყობს ხელს სკოლებში, არამედ პროფორიენტაციასაც. მათ ფორუმები ჩაატარეს რუსთავში, თბილისში, ისნის რაიონში და ბათუმში. ბათუმში ერთი თვე იმყოფებოდნენ პედაგოგებთან ერთად და 20 საჯარო სკოლა იყო ჩართული ამ მნიშვნელოვან საქმეში. ეს კი მეწარმეობის განვითარებას უწყობს ხელს და პროფორიენტაციას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და ზოგადად, პროფესიული განათლების პოპულარიზაციასაც უწყობს ხელს.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს ,,მეტწილ შესაბამისობასთან" დაკავშირებით, შეიძლება თუ არა შეიცვალოს შეფასება „ მეტწილი შესაბამისობა" „სრული შესაბამისობით", რაზედაც ექსპერტმა, თამარ რემიშვილმა უპასუხა, რომ გაუმჯობესების გეგმაში დეტალურად იყო გაწერილი, რა უნდა განხორციელებულიყო და რა აკლდა დაწესებულებას, რომ პროგრამა განხორციელებულიყო ეფექტურად. როგორც უკვე აღინიშნა, უკვე ადგილზეა ინვენტარი, წარმოდგენილია დოკუმენტაცია და ფიქრობს, რომ ეს ერთადერთი პუნქტი, რომელიც მათ ჰქონდათ შეფასებული, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია", იქნება შეფასებული - „სრულადაა შესაბამისობაში".

მანანა მოისწრაფიშვილმაც აღნიშნა, რომ როგორც დასკვნაში ჰქონდათ აღნიშნული, იმ კომპანიას არაერთი კოლეჯი მოუმარაგებია დროულად და ვინაიდან აქვთ ნანახი მიღება-ჩაბარების აქტები,ხელშეკრულება, რომელიც იყო პროდუქციის მიწოდებაზე გაფორმებული, მიაჩნია რომ ეს ნაწილი არის შესრულებული და "მეტწილი შესაბამისობა" უნდა გადავიდეს „სრულ შესაბამისობაში".

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ სამსახურიც გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ყველა დანართს. ამ დანართებში მოცემულია მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები და ასევე ფოტო მასალა, რომლითაც დასტურდება, რომ ის, რაც აკლდა დაწესებულებას, უკვე განთავსებულია დაწესებულებაში და ამდენად ცენტრიც შუამდგომლობს, რომ საბჭომ განიხილოს ამ შეფასების ცვლილების საკითხი.

საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით.
თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომწარმოდგენილი დოკუმენტაციის და არგუმენტების შეჯერების საფუძველზე, 2.2 კომპონენტში „მეტწილი შესაბამისობა" შეიცვალოს „სრულად". შემდეგ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს-საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის „ლოგისტიკის" საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 29 მაისი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემიას SBA-ს (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ლოგისტიკის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 12).**

საბჭოს წევრი, მარიამ ქუჩულორია შემოუერთდა საბჭოს სხდომას ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

თავმჯდომარემ წარმატებები უსურვა კოლეჯს.

13. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ „მეხილეობა - მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: ირაკლი სალუქვაძე, ქეთევან გელაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თამჯდომარე ირაკლი სალუქვაძემ განაცხადა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მარტის ბრძანების შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ წარიმართა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება, „მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი შესაბამისი დანართებით, რომლის შედეგების მიხედვით დამატებით გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია. 2020 წლის 15 აპრილს შედგა ონლაინ ჩართვა. ჩართვაში მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის ადმინისტრაციის და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, პროგრამის განმხორციელებლებმა. გასაუბრების მიმდინარეობისას ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს დაუსვეს წინასწარი მოკვლევის შედეგად წარმოშობილი შეკითხვები და ასევე გააცნეს ქვესტანდარტის/ინდიკატორების მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხები. ასებული ჩართვის დასასრულს ექსპერტებმა გასაუბრების შედეგებიდან

გამომდინარე, გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, დაწესებულების წარმომადგენლებისგან გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რაც მიიღეს.
პროგრამის სახელწოდებაა - მეხილეობა-მეჩაიეობა, პროფესიული განათლების დონე - მეოთხე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში, კოდი - 0811, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. 12, პროგრამის განხორციელების ფორმა - დუალური, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 15, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმის მიხედვით, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120.
პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან:
1. ფონდი „აფხაზიტერკონტთან“ არსებული სოციალური საწარმო „გამა“,
2. შპს „კარტლის აგროსისტემები“,
3. შპს „თ-სულორი“,
4. შპს „ანდიტრი“.
ოთხივე პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულება ერთგვაროვანია და გულისხმობს „მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროგრამის განხორციელების პროცესში მხარეთა ერთობლივ უფლება-მოვალეობებს: პროგრამის და სასწავლო გეგმის ერთობლივად შემუშავებას, პროფესიული სტუდენტის შეფასების წესისა და პირობების გათვალისწინებას, შერჩევის პროცედურების განსაზღვრას. კოლეჯი აფორმებს პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო ხელშეკრულებას. საწარმოს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულია არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობა, სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების დამოწმების მიზნით წარმოებული ჩანაწერების ჟურნალის ყოველკვირეული ზედამხედველობა, საწარმოში გამოცხადების აღრიცხვისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლის - ინსტრუქტორის გამოყოფა, საჭირო მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, რაც შესაბამისი ანაზღაურების გადახდას გულისხმობს, საწარმოში შიდა ტრანსპორტირება და უსაფრთხოების დაცვა. ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა რამდენიმე ფოტო.
ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები კომპონენტების მიეხედვით შემდეგია: პირველი და მეორე კომპონენტი - „სრულ შესაბამისობაშია“, ხოლო მესამე და მეოთხე კომპონენტი - „მეტწილ შესაბამისობაშია“. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისად, გაუმჯობესების გეგმა.
ხარვეზი არ დაფიქსირებულა. მხოლოს სტრატეგიული გეგმა აღმოჩნდა 6 წლიანი და მოგვიანებით წარმოადგინეს 7 წლიანი გეგმა.

რეკომენდაციები
ინდიკატორი 2.4.1.4 -ის ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული მობილობის პროცედურები მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 სექტემბრის 244-ე დადგენილებასთან, შიდა მობილობის შემთხვევაში დაფინანსების საკითხი სწორად ასახონ.

ინდიკატორი 2.4.2.1 - ის ფარგლებში კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია რეგულაციებში ასახოს პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების პირობების წინასწარი გაცნობის მექანიზმები.
ასევე, ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.
ვინაიდან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგის გასაჩივრების წესი, არ მოიცავს საკითხის

არა კომისიურად განხილვის შემდგომ პროცედურებს (გადაწყვეტილების მიღების სავარაუდო საფუძველი, პროფესიული სტუდენტისთვის გადაწყვეტილების გაცნობის ვადა და ფორმა) დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ნათლად გაიწეროს აღნიშნული პროცესი.
ინდიკატორი 2.4.2.4 -ის ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან ლოსაბერიძემ აღნიშნა, რომ სრულად იზიარებენ ექსპერტების რეკომენდაციებს, რაც დასკვნაშია ასახული და უახლოეს პერიოდში, კერძოდ, ივნისის შუა რიცხვებისათვის ყველა რეკომენდაციის გასწორება აქვთ დაგეგმილი. შემუშავებული აქვთ გაუმჯობესების ღონისძიების გეგმა, დასახეს გასაუმჯობესებელი საკითხები შესაბამისი შემსრულებელი პირებით, განსაზღვრეს შესრულების ვადა და ა.შ., ხოლო რაც შეეხება დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებს, დისტანციურად მუშაობენ ამაზე და როგორც კი ექნებათ დაწესებულებაში გამოცხადების საშუალება, ივნისის თვის დასაწყისშივე გეგმავენ აღნიშნული გაითვალისწინონ და შესაბამის მარეგულირებელ რეგულაციებში, დოკუმენტებში ასახონ. ისინი დაეთანხმნენ ყველა შენიშვნას, რომელთაცგაითვალისწინებენ და ასახავენ მარეგულირებელ დოკუმენტებში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მაქსიმუმ რა დრო დასჭირდებოდა ამისათვის კოლეჯს, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ორი კვირა საკმარისი იქნებოდა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანი დალაქიშვილმა თქვა, რომ ექსპერტის მხრიდანაც გამახვილდა ყურადღება რეკომენდაციების შესრულების ვადებზე. ეს რეკომენდაციები ეხებოდა 2.4 კომპონენტს, თუმცა 2.4 კომპონენტის ფარგლებში, მეტწილი შესაბამისობა სტანდარტით დაშვებულია. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში, 2.3 კომპონენტიც - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება არის მონიშნული, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. იქნებ განმარტოს ექსპერტმა, რის გამო მიიღო დაწესებულებამ ასეთი შეფასება და რა ვადაში შეძლებს დაწესებულება, ეს კომპონენტი სტანდარტთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს.

ექსპერტისა და დაწესებულების განმატებით, წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, სადაც ყველა რეკომენდაციაა გადატანილი და დაგეგმილი აქვთ გაუმჯობესებისკენ მიმართული ნაბიჯები შესაბამისი ვადებით. მითითებული აქვთ 2 თვის ვადა, მაგრამ დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს უფრო მალე ასახავენ. მაგალითად, პრაქტიკის განმახორციელებელი მასწავლებლის გამოცდილებას, შეფასების ინსტრუმენტებს, რაც ძირითადად პრაქტიკის ინსტრუქტორებს შეეხება. ასევე, ჟურნალებისა დასხვადასხვა დოკუმენტაციის წარმოებას, შესაბამისობაში მოიყვანენ ორი თვის განმავლობაში.
სწავლას იწყებენ შემოდგომაზე და მანამდე ადმინისტრაცია, ყველა რგოლი, რომელსაც ვალდებულება აქვს ამ ხარვეზებისა გასწორების თუ რეკომენდაციების გათვალისწინებისიმუშავებენ ამაზე და იმ ვადაში, რაც გეგმაში აქვთ, შეტანილი ექნებათ შესაბამისი ცვლილება მარეგულირებელ დოკუმენტებში.

საბჭოს წევრმა, ნინო კაკულიამ იკითხა, არის ერთი ხარვეზი, რომელიც ეხება სტრატეგიულ გეგმას, რატომ არის დასკვნაში მაშინ „მეტწილი შესაბამისობა“. ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციების ნაწილში რაც არის, ეგ ხარვეზი არ არის. ხარვეზი არის პირველ სტანდარტზე. მეორე სტანდარტზე ვერ მოახდენს გავლენას.

საბჭოს წევრის, შორენა ჯაფარიძის კითხვა იყო, რა განსხვავებაა 7 წლიან გეგმას და 6 წლიან გეგმას შორის, გარდა იმისა, რომ 7 -ის ნაცვლად არის 6 წელი, სხვადასხვა მიმართულებებია

მოცემული 7 წლიანში, თუ ფაქტობრივად ეს არის ერთი ტიპის გეგმა, სადაც მეშვიდე წელია დამატებული. იქნებ დაწესებულებას აქვს ასახული ყველაფერი იმ 6 წლიან გეგმაში. ისარ ფიქრობს, რომ ეს არის ხარვეზი. ეს უფრო ტექნიკური შეუსაბამობაა, ვიდრე ხარვეზი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 6 წლიანი გეგმის 7 წლიანთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით, დაიწყეს გადამუშავება და მოიყვანეს შესაბამისობაში, თორემ მიმართულებები, სტრატეგიული, ძირითადი საკითხები არ შეცვლილა 6 წლიანი გეგმიდან. რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ ყოფილა. ფაქტობრივად შინაარსობრივად დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ რადგან ვალდებულებაა 7 წლიანი გეგმის, ახალი სტანდარტების მიხედვით, ამიტომ მოიყვანეს 6 წლიანი გეგმა შესაბამისობაში და ორივე გეგმა წარმოადგინეს (არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინეს შეცვლილი).

საბჭომ სათათბირო დრო გამოიყენა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.3 და 2.4 კომპონენტების ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ 2.4 კომპონენტის ნაწილში მეტწილი შესაბამისობა დაშვებულია, საკითხი განიხილება მონიტორინგის დანიშვნით. ვინაიდან კოლეჯს აქვს წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმა, აინტერესებს, დაწესებულება რა ვადაში ფიქრობს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს და ასევე, 1.1 ამჟამად არ ითვლება როგორც ხარვეზი, მაგრამ საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სტრატეგიული გეგმაც შემოწმდეს მონიტორინგის ფარგლებში და გაანალიზდეს.
დაწესებულების დირექტორმა, ირაკლი ავალიანმა აღნიშნა, რომ სამი თვე სავსებით საკმარისი იქნებოდა.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-კოლეჯი „იბერიისთვის“ „მეხილეობა-მეჩაიეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 13).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 29 მაისი, საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით, სსიპ - კოლეჯ „იბერიაში“ 2020 წლის 29 აგვისტოს ცენტრმა განახორციელოს მონიტორინგი 2.3. და 2.4. კომპონენტების ფარგლებში დოკუმენტაციის გამოთხოვით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ხიშტოვანმა საბჭოს სხდომა დატოვა.

14. შპს - კოლეჯი „ამაგისთვის“ „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
წარმდგენი: ალინა კუპრავა, ხათუნა მაისაია

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა, ალინა კუპრავამ აღნიშნა, რომ დისტანციურად განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელთან, ადმინისტრაციასთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან. ასევე, დისტანციურად დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყველაზე მეტად გაუმართლათ იმაში, რომ ქალბატონი ხათუნა მაისაია, ვინც დარგის ექსპერტია და მასთან ერთად იყო ამ საქმის წარმოების ფარგლებში, პროგრამის ავტორიზაციის დროსაც იმყოფებოდა აღნიშნულ კოლეჯში და ამიტომ მას ეს რესურსები ნანახი ჰქონდა, ადმინისტრაციის პერსონალსაც იცნობდა და ამან გაუადვილათ მუშაობა. რაც შეეხება წინა ექსპერტთა დაფიქსირებულ რეკომენდაციებს, გამოითხოვეს დოკუმენტები და დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა აღნიშნული რეკომენდაციები და ეს მასალები მოწოდებულია ცენტრში.
ექსპერტმა საბჭოზე წარმოადგინა მოკლე ინფორმაცია პროგრამის შესახებ: პროგრამის სახელწოდებაა- საექთნო განათლება, პროფესიული დონე - მეხუთე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში, კოდი - 0913, პროგრამის განხორციელების ენა - ქართული, განხორციელების ადგილი - ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი N9. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებითი მოთხოვნილი რაოდენობა -56 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯი გეგმავს 84 პროფესიული სტუდენტი მიიღოს, მას 28 პროფესიული სტუდენტზე ჰქონდა კვოტა და 56 -ით ზრდის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას, რაზეს ექსპერტები დაეთანხმნენ.
რაც შეეხება სტანდარტების შეფასებას, დაფიქსირდა „მეტწილი შესაბამისობა“ 2.3.კომპონენტში - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება. კონკრეტულად,
2.3.1 - პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით. რეკომენდირებულია, გადამუშავდეს კოლეჯის ხარისხის მართვის ინსტრუქცია, პროგრამის შეფასების მექანიზმში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და შემუშავდეს ასევე, კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმები.
დაფიქსირდა „მეტწილი შესაბამისობა“ 2.4 კომპონენტში - სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება
პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სპეციალურ ჩანაწერებს კლინიკასა და დაწესებულებას შორის დასარეგულირებელი საკითხების, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია განაახლოს გაფორმებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულებების მე-4 მუხლის 4.1.2 პუნქტის ჩანაწერი ,,უზრუნველყოს დამკვეთის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებით შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლის მეშვეობით, რომელთა შერჩევა განხორციელდება პროფესიული განათლების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად“, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებას თან ახლავს დანართი, რომელიც მოიცავს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნას ჩარჩო დოკუმენტის ჩანაწერის შესაბამისად, თუმცა არასრულყოფილად, რეკომენდირებულია დაწესებულებამ ზუსტად გადმოიტანოს ჩარჩო დოკუმენტიდან ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნები და შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან.
2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მოიყვანოს სასწავლო გეგმა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ერთმანეთთან შესაბამისობაში, რომ არ დაირღვეს პროფესიული სტუდენტის ინტერესები სწავლის შედეგების განმეორებითი დადასტურების შემთხვევაში.
ექსპერტის განმარტებით, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით უნდა განხორციელდეს: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულების ვერიფიკაცია. უნდა დარეგულირდეს მინიმუმ შემდეგი საკითხები: ვინაა პასუხისმგებელი, ვინ ახორციელებს, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, დასკვნის, დასკვნის განხილვა, სამოქმედო გეგმის შემუშავება. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გადახედოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელში აღნიშნულ პროცედურას და მოიყვანოს შესაბამისობაში ახალ სტანდარტთან.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა კოლეჯის მატერიალური რესურსების ფოტოსურათები, რომელიც გამოითხოვა კოლეჯიდან. კოლეჯს ნამდვილად აქვს ყველანაირი რესურსი, რომ სამი წლის განმავლობაში 84 სტუდენტი შეუფერხებლად მიიღოს და განახორციელოს პროგრამა.

საბჭოს წევრი, ნინო კაკულია დაინტერესდა, რატომ ჰქონდათ ექსპერტებს დაფიქსირებული, რომ უმჯობესია კოლეჯმა შეისწავლოს შრომის ბაზრის მოთხოვნები. რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, ეს იყო ხარისხის განვითარების კუთხით გაცემული რეკომენდაცია, ხარისხის მართვის ინსტრუქციას ეხებოდა. პროგრამის შეფასების კომპონენტში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, როგორ ხდება პროგრამის შეფასება. თვითონ კოლეჯსაც ჰქონდა იდენტიფიცირებული დოკუმენტები, რომლების საჭიროებდნენ გადამუშავებას და ეს დოკუმენტები იყო ჩამონათვალში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვანო ბალახაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გაითვალისწინეს და შეცვალეს შესაბამისი დოკუმენტები. ასევე დამატეიბთხელშეკრულებები დამატება გაამზადეს, თუმცა პანდემიის გამო შეფერხდა ხელმოწერა და დროულად ვერ წარმოადგინეს. რაც შეეხება გასაჩივრებას, სტუდენტების სასარგებლოდ გადაწყვიტეს ეს საკითხი და სასწავლო გეგმაში შეიტანეს ცვლილება, დატოვეს ის ვადა, რაც მათ გასაჩივრებისთვის ჰქონდათ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.
თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და განიხილავს 2.3 და 2.4 კომპონენტის ნაწილში მონიტორინგის ჩანიშვნის საკითხს მიმდინარე წლის 29 აგვისტოდან, თუ ეს ვადა მისაღებია დაწესებულებისთვის, რაზეც დაწესებულებამ თანხმობა განაცხადა.

თავმჯდომარემ წაიკითხა პროგრამის პარამეტრები და კენჭისყრაზე დააყენა შპს - კოლეჯი „ამაგისთვის“ „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,
შპს - კოლეჯ „ამაგს“ (ს/კ: 417878130) დანართით განსაზღვრულ „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 84-ით **(დანართი 14).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 29 მაისი, საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით, შპს - კოლეჯ „ამაგში" 2020 წლის 29 აგვისტოს ცენტრმა განახორციელოს მონიტორინგი 2.3. და 2.4. კომპონენტების ფარგლებში დოკუმენტაციის გამოთხოვით.

15. შპს - კოლეჯი „ამაგისთვის“ „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.
წარმდგენი: ნანა შარაბიძე, ინგა ბაქრაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა ნანა შარაბიძემ. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის

შეფასების დისტანციურად განხორციელება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ,,ამაგის“ მიერ 2020 წლის 19 მარტს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა და განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოდულების განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება. საბჭოზე წარმოდგენილი იქნა ფოტოები: ბიბლიოთეკა, ფარმაციის ოთახი, სააფთიაქო დახლი, აუდიტორია, კომპიუტერული კლასი, რომელიც ყველა პროგრამისთვის გამოიყენება, პირველადი გადაუდებელი დახმარების ოთახი, ქიმიის ლაბოტარია ფარმაციის პროგრამისთვის და, ზოგადად, ძალიან მოწესრიგებული სასწავლო გარემოა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დისტანციური განხილვის მიზანი იყო კოლეჯისთვის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.
დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაიმატა 2019 წლის სექტემბერში საგანმანათლებლო პროგრამებთან ,,ვეტერინარია“ და ,,საექთნო განათლება“ ერთად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საგანმანათლებლო სტანდარტის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში, კვალიფიკაციის კოდი-0916, პროგრამის განხორციელების ენა - ქართული, განხორციელების ადგილი - ქ.გორი, ცხინვალის გზატკეცილი N9, პროგრამის განხორციელების ფორმა -მოდულური. პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატების მოთხოვნა 40 პროფესიული სტუდენტი, ზღვრული რაოდენობა 80 პროფესიული სტუდენტი, რასაც ეთანხმებიან ექსპერტები.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი კადრები, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღება–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

დისტანციური გასაუბრების დროს დაწესებულების და აფთიაქის წარმომადგენლებთან გაირკვა, რომ აღნიშნული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტები მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯთან და უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

ვიზიტის დროს გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

- სასურველია, სასწავლო პროცესის განახლებამდე, გადამზადდნენ სს გეფას მენეჯერები შეფასების ორგანიზების და განხორციელების მიმართულებით, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და ხარისხის მენეჯერის ჩართულობით;
- სასურველია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, რათა კვლავაც დაცული იქნას პროფესიული სტუდენტების უფლებები და სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას მათი შემდგომი განვითარებისათვის;
- სასურველია, ახალი რეგულაციების შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ და გააერთიანონ სხვადასხვა დოკუმენტებში ერთი და იმავე საკითხებზე გაკეთებული ჩანაწერები დუბლირების თავიდან ასაცილებლად.

პრაქტიკულ კომპონენტში გეფას ჩართვა ნამდვილად აძლიერებს პრაქტიკულ ნაწილს, განხორციელების თვალსაზრისით და მათთვის პრობლემაარ არის, მიიღონ სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა და ექსპერტებიც ეთანხმებიან მათ მოთხოვნას და აძლევენ სტუდენტთა რაოდენობის 80-მდე გაზრდის რეკომენდაციას.
კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სანამ გეფასთან გააფორმებდნენ ხელშეკრულებას, მანამდე ჰქონდათ ურთიერთობა პსპ-სთან და სტუდენტები იმყოფებოდნენ პრაქტიკაზე. მოხდა პრაქტიკის ნაწილის გაძლიერება გეფასთან ურთიერთობით, 2 მარტს მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას და შემდეგ არსებული გარემოებების გამო შეფერხდა მათთან კომუნიკაციაც და გადამზადებაც ვერ მოხერხდა, თუმცა დარწმუნებულია, პსპ-სთან და გეფასთან გაღრმავდება ურთიერთობები. რაც მთავარია, ისინი მზად არიან ამ ურთიერთობებისთვის.
ექსპერტმა დაადასტურა, რომ გასაუბრების დროსაც, მათი მხრიდან იყო მზაობა და დიდი ინტერესი ჩართულიყვნენ ამ პროგრამის განხორციელების საქმეში.
საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ ექსპერტებს მიმართა კითხვით, შეფასების ინსტრუმენტები თუ ნახეს კოლეჯში და იყო თუ არა ინსტრუმენტები სანდო, გამჭვირვალე, ვალიდური და ა.შ.
ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ გადმოაგზავნინეს ინსტრუმენტები და ნანახი აქვთ. ამჟამად შენიშვნა არ აქვთ. ის რეგულაციები, რაც იყო, აკმაყოფილებდა სტანდარტებს, ოღონდ ახლა, ახალ სტანდარტებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოხდება დოკუმენტაციის გადამუშავება.
საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით და შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა და პროგრამასთან დაკავშირებით, რამდენადაც ექსპერტთა დასკვნაში სამ კომპონენტში - 2.2., 2.3. და 2.4 კომპონენტების ფარგლებში დაფიქსირებულია „მეტწილი შესაბამისობა“, მონიტორინგის საკითხს განიხილავს 29 აგვისტოდან თუ მისაღებია დაწესებულებისათვის, მონიტორინგი გახორციელდება დოკუმენტაციის გამოთხოვით, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი განისაზღვრება 29 მაისით.
დაწესებულებამ თანხმობა განაცხადა. წაკითხულ იქნა პროგრამის პარამეტრები და თავმჯდომარემ დააყენა შპს - კოლეჯი „ამაგისთვის“ „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

შპს - კოლეჯ „ამაგს“ (ს/კ: 417878130) დანართით განსაზღვრულ „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით **(დანართი 15).**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 29 მაისი, საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით, შპს - კოლეჯ „ამაგში" 2020 წლის 29 აგვისტოს ცენტრმა განახორციელოს მონიტორინგი 2.2. 2.3. და 2.4. კომპონენტების ფარგლებში დოკუმენტაციის გამოთხოვით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:45 საათზე

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ